№ 208 8 ღვინობისთვე, სამშაბათი 1866—1879 8 ღვინობისთვე, სამშაბათი № 208

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ყოველ დღე ოთხშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: დიდი სტრიქონებით ასოზე 1 კაპ. ბეჭდვა ერთ ცალ-ერთი—5 კაპ., ... 1 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაბეჭდილი სტატიებს ავტორს არ დაუბრუნდება.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ბიბლიოთეკა

განცხადება

ოთხშაბათს, 10 ღვინობისთვეს

ქართული ტრუპისაგან წარმოდგენილი იქნება თფილისის საზაფხულო თეატრში:

I

გაყრა

კომედია ოთხს მოქმედებად თ. ბ. ერისთავის

II

დაკეტილ კარებთან

სცენა ერთს მოქმედებად წარმოდგენის შემდეგ უ. მესხი წაიკითხავს იმერულ სცენებს და ბაბუნიას ქალი იმღერებს ქართულ სიმღერებს.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში და აზნაურების მალაზიაში, ბოლოვინის პროსპექტზე.

დაიწყობა 7½ საათზე.

(3—1)

ოთხი თვის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—ბაღის (სადღეის) ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ფასი ოთხი თვის გაზეთისა, ე. ი. 1 სექტემბრიდამ წლის დამლევამდინ, გაგზავნით—სამი მანეთი.

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ლონდონი, 5 ოქტომბერს. ბაზეთს „სტანდარში“ იწერებიან ავლანიდამ, რომ ინგლისის ღენერალმა რობერტსმა ქაბულში შესვლისათანავე გამოაცხადაო, რომ ყველა სახლები, რომლიდამაც ინგლისის ჯარს თოფს ესროდენ, ძირიანად დანგრეული იქნებაო; ხალხმა დიდი კონტრიბუცია (ხარჯი) უნდა გარდაიხადოს; ქაბული თავის გარემო ადგილებით სამხედრო ღუბერნატორის გამგეობაში იქნება; მცხოვრებლებმა თოფიარალი უნდა დაჰყარონ; ვისაც ერთის კვირის შემდეგ თოფ-იარაღს უნახავენ, დაიჭირავენ და სიკვდილით დასჯიან. ამასთანავე ღენერალ რობერტსმა გამოაცხადა, რომ ვინც წარადგენს იმ პირთ, რომელთაც ინგლისის ელჩების ამოწყვეტაში მიიღეს მონაწილეობა, თითო ამისთანა კაცში ხუთ თუმანს საჩუქარს მიიღებს.

სიმლა, 4 ოქტომბერს. ლონდონიდამ მოვიდა ამბავი, რომ დიდ-ძალი ჯარი მოგროვილა ყირგიზ-კიპჩაკებისა და ანდუებისა მოგროვილა და ზანგში-სარუსაკენ აპირებენ წასვლას იმ განზრახვით, რომ იქ 4,000 ჩინელების ჯარს დაეცნენ.

ფელეტონი

ჰაეროსტატით ტანტალი

მაჰმადიან საქართველოში.

მამწყინდა, ბატონებო, უსწორ-მასწორ ცოდვილ მიწაზე სიარული, ხან ფეხით, ხან ცხენით-ხან ცხენით და ფეხით! ბადავწყვეტე, რომ ვიფრინო! ფრენა სიარულს, რასაკვირველია, სჯობია, მეტადრე ამ ახალ-შემოერთებულ ქვეყნებში, საცა კაცი გულის ძგერით ელტვის, რომ ყოველგან იცის და ყოველა გაიგოს: სად რა ხდება, სად რა ამბავია და რა მოძრაობა, და სადაც ყოველ ნაბიჯზე წინ ეჩხირება უშველებელი კლდეები, მთები, უძირო უფსკრულიანი ღელეები...

მაგრამ—რითი ვიფრინო? ადამიანისათვის ამ ჟამად მხოლოდ ერთად-ერთი საშუალებაა ფრენისა—ჰაეროსტატი,—მეც ის ავირჩიე; მაგრამ ჩემი ჰაეროსტატი „მუსიოებისას“ არა გავს, ჩემი ჰაეროსტატი თავისუფალია: იმას ვერ ეწინააღმდეგებაო ვერც ქარი, ვერც მთა, ვერც ბარი; ვერც აღმართი და ვერც დაღმართი. ის შევა საცა უნდა, მიავა საცა ისურვებს; წარმოიდგინეთ, ღარიბი გლეხის სახლშიც კი შეძვრება! და საცა მივა, ვერავინ ვერ ჰხედავს, ვერც ტყობილობს!..

მიზანი და სურვილი ჩემი ფრენისა არის: ყოველგან ყოფნა, ცუდის და კარგის შეტყობა; ავის კიცხვა, კარგის—ქება და მოწონება.

კარგი რაიმეა ჩემი ჰაეროსტატი! უფრო კარგია იმაში მოგზაურობა; იმით ნადირობა ხომ კარგია და კარგია; მაგრამ, საუბედურო, მე იარაღის ხმარების წინააღმდეგი ვარ, მისთვის არ შემიძლიან მისი ტარება: იარაღიდგან გამოგზრწყინებულ სხივებში მე ეხედავ დესპოტიურ ისრებს.

ავის გაკიცხვის და კარგის მოწონების ყველა კაცს აქვს უფლება. კარგს თავისი ჯილდო უნდა ჰქონდეს, ავს—სასჯელი. პირველისათვის მე მაქვს ქების გვირგვინი, მეორესთვის ვატარებ დიდი რუმბით მაწონს და საცა შემხვდება ავი კაცი, ან მისი თაყვანის მცემელი, იმ მაწონს თავზედ დავასხავ—ღირსების დაგვარ...

ჩემის ჰაეროსტატის შუბლზედ აწერია ოქროს ასოებით: „უწინააღმდეგო და თავისუფალი მატარებელი“.

ეს გახლავს ჩემი ფ ი ქ რ ე ბ ი!

ზაფხულის გძელი დღეებიდგან მოგზეზრებულმა გაუკეთე ჩემს ჰაეროსტატს ბოლქნები; გავჭიმე თოკები, მივაბი ქვეიდამ ჩასაჯდომი ნავი, დავასხი ასანთობი გაზი (მელანი) და აჰა ეცურავ ჰაერში...

რა მშვენიერებაა, როცა კაცი მაღლით დაცქერის ძირს-ქვეყანას! ზოგან დაფენილია სპეტაკის ნისლითა, ზოგან ზურმუხტის თვალისავით ამობურთულან მთა-გორაკები, ზოგან შავად გაჭიმულან უძირო ღელები, ზოგან თეთრად ელვარებენ ქალაქები და ზოგანაც ვერცხლის სიმივით გარს ერტყმიან მდინარები.

აგერ სამხრეთით მოჩანს სომხეთის მთები თავის დიდის არარატითა; იმაზე ნოეს კიდობანს მე ვერა ვხედავ!? ჩრდილოეთით დინჯათ ზის ყადიევით თეთრ-ჩალმიანი მთა—უაზბეგი; აღმოსავლეთით გველეშაპივით გაწოლილა ქასპის ზღვა და დასავლეთი—შავი ზღვა; პირველიდგან მოდის ნავთის მყრალი სუნი, მეორიდგან—განათლებისა...

ზამთარი დიდი ხანია გასულა; გაზაფხულს გადუბიჯნია, ახლა ზაფხულია, მაგრამ წიწმატიანი ზაფხულია! მთა, მინდორი, ბარი და ღელე—მწვანეთ შეკმაზულან; გაჯავრებული გულის მაგრილებელი მთის ნაკადულები მხიარულათ თავიანთ გზაზე მირბიან...

ბევრი წვრიმალი ამბები იყო, ისე გაიარეს, ახლა ისე დამჭავდნენ, რომ დასაწერად ვერ მოვასწარ და ახლა სუ-

ვენა, 5 ოქტომბერს. ოსმალოს მმართებლობას ჰქონდა განზრახვა, რომ 5,200,000 ლირი ესესხნა აქაური ბანკირებისაგან, მაგრამ ვერ მოახერხეს.

პეტერბურღი, 5 ოქტომბერს. სახელმწიფო ბანკში და სხვა-და-სხვა განყოფილებასა და კანტორებში ხვალინდელი დღიდამ იქნება სარგებელი: ვექსილების უჩოტისა და დაგირავებულ საქონელში — 6 პროც., სარგებლიან ქაღალდებით აღებულს სესხში—7 პრ. და სპეციალურ „ტეკუში“ ანგარიშით —7½ პრაცენტი. პეტერბურღში ჰყინავს.

პეტერბურღის ბირჟა, 5 ოქტომბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის —	94—25
მეორე — — — —	93—25
მესამესი — — —	93—50
მეოთხესი — — —	93—50
აღმოსავლეთის პირ. —	90—87
აღმოსავლეთის მეორე —	91—37
აღმოსავლეთის, მესამე —	91—50
ოქრო, ½ იმპერიალი —	7—70
ტფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი —	„— „

შინაგანი 5% სესხის ბილეთები

	მან. კაპ.
პირველი სესხის— —	224—25
მეორე სესხის — —	221— „

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — —	25—62	პენსი
ჰამბურღი — —	129—	„ ცენტი
პარიჟი — — —	275—	„ სანტიმი
ვენა — — —	218—	„ პფენიგი
კავკასიის კერასინი — — —		

საქართველო

სამღვდელოების კრება.

სხდომა 6 ოქტომბერს, საღამოს.

შაბათ საღამოს შეუდგნენ ტფ. სასულიერო სემინარიის გამგეობის წევრთა ამორჩევას. მოგეხსენებათ, რომ სამღვდელოების მხრით სემინარიის გამგეობაში სამი წევრი უნდა იყვეს და სამიც კანდიდატი.

კრებამ შემდეგი პირები ამოარჩია:

		თეთრი კენჭი		შავი
მ. კონჩუევი	, მოუვიდა	69	და	2
მ. მანსვეტოვი	— — —	69	—	4
მ. ელიოზოვი	— — —	65	—	7
მ. ჭრელაშვილი	— —	54	—	17
მ. პეტრიაშვილი	— —	40	—	29
მ. პავლიევი	— — — —	38	—	32

ამ ექვსში სამი პირველი, ე. ი. მ.მ. კონჩუევი, მანსვეტოვიე და ელიოზოვი ამორჩეული არიან გამგობის წევრებად და დანარჩენი სამი: მ.მ. ჭრელაშვილი, პეტრიაშვილი და პავლიევი ამათ კანდიდატებად. ამ კენჭის-ყრაში შთაბეჭდილება მოახდინა სემინარიის გამგეობის ადრინდელი წევრის პროტოიერეი პავლიევის გაშავებამ; ამას ჯერ სთხოვეს, რომ უეჭველად იყარეთ, მამაო, კენჭიო, უთქვენოთ როგორ იქნებაო, გამოცდილი ბრძანდებითო და სხვ. მაგრამ როდესაც დაითანხმეს და კენჭზე მივარდა საქმე, „შტუ! შტუო!“ (შავი) დაიძახეს მევრელებმა და გაამავეს! ამის მიზეზი ის იყო, რომ წინა სხდომებზე მ. პავლიევმა, ქართულის ენის მტერობით, უკმაყოფილება დაიმსახურა მთელის კრებისა.

ამავე სხდომაზე ამოარჩიეს აგრეთვე საეპარხიო სქალებო შკოლის რჩევის ორი წევრი და ორიც ამათი კანდიდატი;

ლაც არა ღირს გაგიზიაროთ. ზოგიერთს კი საჭაშნიკოთ მოგახსენებთ:

ერთხან თათრებმა ფერი-აგვაკრთეჰინეს, ისთე გათამამდნენ, რომ არდანუჯის და ართვინის ახლო დასვეს საყარაულო პიკეთები, მაგრამ ჩვენები მხნეთ დაუხვდნენ და არათუ ყარაულებს, საბრალო მწყემსებსაც თავი ამოაყოფინეს ნაობახდში.

არდანუჯის მაზრაში არავითარი ახლა მოძრაობა არა გახლავს-რა. ხალხს კარგი ხანია გამოუცხადეს, რომ მიეცემათ უფლება გადასახლებისა; ბევრს უხარიან, ბევრს არა, ბევრი მიდის მომავალ გაზაფხულზე, ბევრი რჩება, მდიდარი მიდის, ღარიბი რჩება.

მივმართე ჩემი ჰაეროსტატი ბათუმისაკენ. გზაზე მხვდება მრავალი გლეხები თათრები და იმათი ქალები, რომელნიც წელ დადრეკილნი ერთგულათ ეხმარებიან თავიანთ ზანტ ქმრებსა: მკიან ნამგლით და ჰკვრენ კონებათ.

მესმის კვნესა. რა ამბავია? ჰაერ-ოსტატი ძირება პატარა ქოხში, საცა წევან სამ ვაჟ-კაცნი, კვნესიან; მეორები იმათ გარშემო სხედან; ამათაც ნაცრის ფერი ადევსთ—ეტყობათ ისინიც ყოფილან ამ ყოფაში, როგორც პირველნი. არა უშავს-რა, ოსები არიან, ყველაფერს გაუძლებენ!..

დაღამდა. მთვარიანი ღამეა, მაღლაცა, ძირს ანცროხი ამშვენებენ იქაურობას. ცხენის ფეხის-ხმა. ოთხს ყაზახს მიაქვთ ორი ცხენის შუა საკაცე. ცხენებიც დაღონებული არიან, კაცებიც.

—ეს რა მიგაქვთ?

—მკვდარი.

ჰო, ეს ის არის, რომელიც მოკვდა სანადიროში. ოთხი ყაზახი წავიდნენ სანადიროთ, გაიფანტნენ ოთხ მხარეს. საღამოზედ შინ წამოსვლისას ერთს იმათგანს მოეჩვენა, ბუჩქებში რაღაც ფართხალობს: დათვათ ეჩვენა, ესროლა თოფი და დათვის მაგიერათ ამხანაგს ფეხები გააჭიმინა.

—სად მიგყავთ და რისთვის?

—ჰექიმებთან, გასაჭრელათ.

მკვდარი ცოცხალთან მიდის! მოხისულებივით ხარი დანასთან მიჰყავთ დასაკლავათ! სად არის ის მამაცხონებული მოხისული პატარძალი, რომ უთხრას ამათ: ხარი დანასთან წათრევას, დანა ხართან მიიტანოთ!...

ართვინის მაზრაშიაც საკბილო ამბავი არაფერია. ზოგიერთი აქაური მცხოვრებიც მზათ არიან გადასასახლებლათ; მხოლოდ ის ცრუ იმედი, რომ ართვინი იქმნება თათრებს დარჩესთ, მათ აბრკოლებს; მეორე გაზაფხულზე კი ამათი ქარვანიც გადუდგება გზასა. ოსმალების მხრით ზოგიერთი ალაგას, მაინც დაცემა და წვალება არ გაწყვეტილა ართვინის ახლო-მახლოში..

რადგან აქ საკბილო არაფერია, მასთვის ვსტოვ მას და მივფრინავ წინ.

აგერ აჭარაც. გზები მოფენილია გადამსახლებლებითა. სტოვებენ სახლ-კარს, მამულს და იმ ადგილს, საცა ისინი სიყრმით გაზდილან, რომელიც იმათთვის ძვირფასია; გარბიან, ღმერთმა არ იცის, საით!

აგერ, ცოლი ქმრის, ძმა ძმის, შვილი მამის საფლავს დასტირის და ემშვიდება სამუდამოთ! ქმარი ცოლს-შვილს აბარებს საიმედო კაცს და თვითონ რჩება მარტო თოფით, რომ მტერს სამაგიერო გადუხადოს...

ღვინის და გარყვნილობის სუნი მოდის: ეტყობა ბათუმია ახლა. აჰა მოდის ნავი და სამუდამოდ უნდა წაიყვანოს ჩვენი მოძმები, მოგვაშოროს. ჰხედავთ ქარი-ყლაპია თათარს, სიღარიბით თითქმის სული ამოსდის, მაგრამ მაინც, უკანასკნელ კაპეიკს არა ზოგავს, რომ არ დაანარჩინოს თავისი სარწმუნოების ხალხი სხვის ხელში!

ამ შემთხვევაში ვინ გამოჩნდა სიტყვით და საქმით მართალი: ჩვენ, თუ თათარი. აბა ქართველებმა რითი დაანახეს, რომ აჭარლების მოძმენი იყვნენ? ამ შემთხვევაშიც ჩვენმა ახალგაზდობამ ვერ აღასრულა თავისი მოვალეობა: იმათი „ახი,“ „ოხი“ ფუჭად დარჩა!. ბანა ასე შეჰფეროდა! გაუნათლებელ თათრის მოლლებმა აჯობეს ჩვენ ახალგაზდა განათლებულებსა...

შარშანა ვსთქვით, რომ უნდა ვეცადოთ აჭარაში და სხვა ადგილებში იყვნენ დანიშნულნი „კეთილ სინიდისიანი ქართველები;“ მაგრამ ამ ჩვენმა ნატვრამ ფუჭათ გაიარა; მართალია, იყვნენ ქართველები და არიან, მაგრამ ცოტანი და უძეიროსი, ისინიც სხვის და გარემოების გავლენის ქვეშ არიან...

არ იქნა, ჩვენი თავი ვერ შევაყვარეთ, ამათ სხვა და სხვა მიზეზების გამო! უმთავრესთა მიზეზთაგანია: მძიმე გადასახადი და უდროო ტამოჟნის შემოღება. ამათ შემდეგ უჭირავს ადგილი ფანატიკობას და ყორანის მიმართულებას. ყორანი ამბობს: მართლ-მორწმუნე მაჰმადიანი ვერ იცხოვრებს ურჯულოთა შორის, მაგრამ ეს აჭარლებზედ არ არის ნათქვამი, ისინი ამ აზრს არ მისდევენ,

წევრებად ამოარჩიეს: მ. სტასი, რომელსაც მოუვიდა—**64** თეთრი კენჭი და **2** შავი და მ. მღებრიევი—**55** თეთრი და **17** შავი; ამათ კანდიდატებად—მ. ხელიძე—**50** თეთრი და **22** შავი და მლიევი **44** თეთრი და **28** შავი კენჭი.

სხდომა 7 ოქტომბერს.

ნაშუადღევის სამი საათიდამ დაწყებული, ვიდრე თითქმის ცხრა საათამდინ კრებას ჰქონდა მსჯელობა ქართული გალობის შესახებ და სამღვდელოების ქალების შკოლის წესების თაობაზედ. პირველი საგნის შესახებ სამღვდელოებამ გარდაწყვიტა, იშუამდგომლონ, რომ სემინარიაში ცალკე მასწავლებელი დაინიშნოს ქართულის გალობისათვის და ამასთანავე მოიპოვონ საშუალება ამ გალობისათვის ნოტების შედგენისა. ქართლ-კახეთის სამღვდელოებამ პირდა-პირ გამოაცხადა, რომ აა საქმეში ფულით მიიღებს მონაწილეობას. საუბედუროთ, იმერეთისა და სამეგრელო-გურიის სამღვდელოების დეპუტატებმა ვერ შეიძლეს ამ საქმის შესახებ რომელიმე გარდაწყვეტილი აზრის გამოთქმა, რადგან „ჩვენის მარწმუნებლებისაგან ეს საგ[illegible] არა გვაქვს მონდობილიო“.

მეორე საგნის, საქალებო სასწავლებლის შესახებ, რამდენიმე წვრიმალი გადაწყვეტილება დასდეს იმის თაობაზე— თუ ვის ქალებს ექმნებათ უპირატესობა შკოლაში მიღების დროსაო, ვინ და როგორ უნდა ამოარჩიოს კანდიდატებიო, რა საშვალებით უნდა შეინახონ ეს სასწავლებელი და სხვ. და სხვ.

სასწავლებლის ზედამხედველ ქალის ამორჩევაზედ ამ სალამოს არ ულაპარაკნიათ. ამ საგანზედ დღეს, ორშაბათ დილით, იყო გაცხარებული ბაასი და მსჯელობა; მაგრამ, რადგან როდესაც ამას ვსწერთ, ეს საქმე არ არის ჯერ გარდაწყვეტილი, ამის გამო ამაზე შემდეგ ნომერში ვიტყვით.

დღიური

*** მოგეხსენებათ, რომ **1881** წელს თფილისში იქნება საზოგადო (მეხუთე) კრება რუსეთის არხეოლოგებისა; ამ კრებისათვის მოსამზადებლად და კავკასიის არხეოლოგიურ ძველად-ძველის ნივთებისა, თუ შენობების გამოსაკვლევლად, ამ დღეებში ჩვენს ქალაქში ჩამოვიდა გამოჩენილი მოყვარე არხეოლოგიისა გრაფი ა. ს. უვაროვი, რომელიც, როგორც ისმის, რამდენიმე თვეს დარჩება თფილისში და ჩვენი ქვეყნის სხვა ადგილებშიაც იმოგზაურებს.

იმედი გვაქვს, გრაფი უვაროვი მიაქცევს ყურადღებას, რომ უანგარიშო არხეოლოგიური ნივთები, თუ ხელთნაწერი წიგნები, თუ შენობები და თუ ძველი ძვირფასი ნივთები ფუჭდება და იკარგება ჩვენში დაუდევნელობისა გამო, და, როგორც არხეოლოგიის მოყვარე, ეცდება, რომ ამ მხრით რაიმე საშუალება მონახოს ამ ძველთა სახსოვრების დასაცველად.

*** კახეთიდამ გვწერენ, რომ წელს ალავერდობაზე ძალიან ბევრი ხალხი ყოფილა საქართველოს სხვა-და-სხვა მხრებიდამ მოსულიო. ქვლავ ამ დღეს მუდამ ეგზარხოსი მოდიოდა და რუსულად სწირავდაო; წელს კი ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსი ყოფილა და ქართულად უწირავს და ქართული (გურული) მგალობლებიც ჩამოუყვანია. ეს გარემოება ძალიან მოსწონებია ადგილობრივ ხალხს, განსაკუთრეაით გლეხებს. თელავის უეზდის უფროსის საშუალებით, მოუგროვებიათ იქ ხუთი თუმანი და ამ მგალობლებისათვის გარდაუციათ.

როგორც არტაანის და ართვინის თათრები, საცა იმათთვის ადვილია ცხოვრება, იქ ყორანს არა აქვს გავლენა...

მთავრობისათვის სამძიმო არ იქნებოდა, რომ ორი წლით მაინც განეთავისუფლებინა აქაური ხალხი გადასახადისა და იმ უადგილო ტამოჟნისაგან. ამაში ქართველებს კარგათ შეეძლოთ დახმარება: თბილისის და ქუთაისის სათავად-აზნაურო კრებებს, იმის მაგიერად რომ ეთხოვნათ მთავრობისათვის რამთონიმე საციმბირო კაცების გამოხსნა, უკეთესი არ იქმნებოდა, რომ ეშუამავლათ ახალი ქვეყნების გადასახადის და ტამოჟნის პატიება?! მართალია საციმბირელებიც ჩვენები არიან, მაგრამ იქით თუ ორს-სამ კაცს დავკარგავდით; აქ ნახევარი საქართველოს ხალხს შევიძენდით....

ვაჩნდი ჩემი ჰაეროსტატით არტაანში. აქ რაღა ამბავია? ვაი მე, აქ უარესს ვხედამ: რაზდერიშინი თავის საუცხოო მოხელებით უსამართლოდ სდევნის საბრალო და უპატრონო ხალხს და აჩქარებს.

„— ჩქარა გადიკარგენით, რომ თქვენ ალაგას სხვა ხალხი უნდა გადმოვასახლოთ!“

პატრონი და სამართალი არ არის?! ნუ თუ ქართველები ისე დაეცნენ და ხეირიანი ადამიანებს ვერ ვშოულობთ, რომ ენატრობთ უ. მ. მეფისაშვილის ყოველგან ყოფნას!! ამისთანა საჭირო კაცისათვის დიდი ნიჭი კი არ დასჭირდება, აქ საჭიროა: მშვიდი, დინჯი, თავმდაბალი, მდაბალი ხალხისათვის გულმტკივნელ, სამშობლოს მოყვარე და ხალხის ადათის მცოდნე-ქართველი კაცი, სხვა არაფერი. მართლა იმისთანა გენიოსი კი არ გვინდა, როგორც არდანუჯში...

რა მშვენიერად დაუმშვენებიათ არტაანი! საამურად დასცქერიან ახალი მოდის ფანრები ნეხვის ზვინებს და ვიწრო ქუჩებს, ანათებენ, რომ საროსკიპოებში (რაზდერიშინის წყალობით ოთხი გახლავს) წასვლის დროს მთვრალებმა კისერი არ მოიტეხონ... იქმნება ჩვენსშევა გულ ქალაქებშიც არ იყოს ფანრები გაჩაღებული მაგრამ აქ ჩნდებიან იმისთან ერთგულები, რომ ერთი ნალის შოვნის დროს ერთი ცხენის ყოლევის იმედს გვაძლევენ.

აჰა შავშეთიც. „ახლა“ შავშეთელები ბედნიერნი და კმაყოფილნი არიან თავიანთ ბედის წერით. შინაურული ცხოვრება, სიყვარული ხალხისა მოხელებთან, მოხელებისა—ხალხთან, აი, აქ ნახავთ. ეს რისაგან არის? იმისაგან, რომ აქ არის დანიშნული მაზრის უფროსად ხალხის ხასიათს, გულს ძგერის მცოდნე კაცი, რომელმანც მალე მიიზიდა თავისი რიგიანის ქცევით იქაური ხალხი.

იმერხეველებმაც კი მოიშორეს გადასახლების ბოროტი აზრი...

ჯერ ამთონი ტანტალი მეყოფა. ჩემი ნავი უნდა გავაჩერო, და ორი სიტყვის თქმისათვის მოთმინების ნება უნდა გთხოვოთ.

როგორც ზევით მოიხსენიეთ, ხალხი დაფთხა, გარბის, შეჩერება ახლა ძნელად შეიძლება. არტაჰანი, არდანუჯი, ართვინი და აჭარა, როგორც ვხედავთ, უნდა გავერანდნენ. რასაკვირველია, ეს ამბავი საწყენო და უსიამოვნო გახლავს, მაგრამ, რა ვქნათ, ახლა უნდა ვეცადოთ, რომ ეს გავერანებული ადგილები ისევ ჩვენ დავიკავოთ, „სხვის“ ხელით ნუ ჩავაგდებთ. იმერეთში, ქართლში, ჯავახეთში და სხვა ბევრ ადგილებში მრავალია შევიწროებულნი, ზოგი უმიწოების გამო და ზოგიც ცუდი მებატონის გამო. სჯობია, „ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდეს,“-კარგი და სანატრელი იქმნება- რომ ჩვენივე ხალხი გადმოსახლდებოდნენ აქედ. უეჭველია, რომ მთავრობა ჩვენს ხალხს ნებას მისცემს ამ გადმოსახლებისას...

მოიმედე ვარ ბევრნი იქნებიან, ამ აზრის შესახებ, ჩემნი თანაგრძნობნი, უკეთუ წარმოიდგენენ, თუ რა შედეგი ექმნება ჩვენ და გადასახლებულების შვაუცხო ხალხის ჩაყენებას!...

შემოკლებით გეტყვით, თუ ამ ადგილებში, რა ადგილი, რა ღირსება აქვს: არტაანი—ვაკე მინდორი, მთა-ქალიანი, ცივი ჯანმთელი ჰაეიანი ადგილია, მეურნეობის, ხვნა-თესვის და საქონლის შენახვის გულ-ღვიძლია, ტყე არ არის. არდანუჯი, ართვინი, აჭარა და სხვა ადგილები თუ მოკლებულნი არიან ვაკე მინდვრებს თუ ხვნა-თესვის ადგილი არ არის, მდიდირნი რიან საბალო ადგილებით და ტყით; მოვა მშვენიერი ხეხილი-ყოველლა გვარი, აბრეშუმი თუთუნი, და ყურძენი..

ს. ბავრელი.

ართვინი 20 სექტემბერს.

*** სოფ. რუის-პირიდამ გვატყობინებენ, რომ გასული სექტემბრის 13-ს დიდი წვიმების გამო, იქაური სასოფლო შკოლის ჭერი ჩამოწოლილა; მაგრამ საბედნიეროთ იმ დროს იქ არავინ არ ყოფილა. სოფელს დაუწყია ახლად კეთება შკოლისა, მაგრამ, რადგან ღარიბი ხალხია, მალე ვერ შეიძლებენო, სხვა შენობაც არ არისო, რომ დროებით გამართონ შკოლა და ამნაირად შაგირდები მოცდენილი არიან სწავლასაო.

აი, სხვათა შორის, ამისთანა შემთხვევებში უნდა მიუწოდოს სოფელს ხელი ჩვენმა „წერა-კითხვის საზოგადოებამ“...

*** ამავე სოფლიდამ გვწერენ, რომ ერთმა ვაჭარმა ერთ აქაურ გლეხს ერთს თუმანს ფულში შვიდი თუმნის ღვინო გარდაახდევინაო.

მეორე ამის მსგავსსავე ამბავს გვაცნობებენ სოფ. ახატელიდამ; აქ ერთს ვაჭარს ასე დაუტყუილებია გლეხი: ვაჭარს მწიფე ყურძენი უყიდნია ათ თუმნად ამ გლეხისაგან იმ პირობით, რომ თვითონვე უნდა დაეკრიბა, ერთი თუმანი იმ თავითვე უნდა მიეცა და დანარჩენი ცხრა როცა მოჩეგოდა დაკრება. ვაჭარმა ერთი თუმანი ძისცა, დაიწყო დაკრება და როცა გაათავა, გლეხმა უთხრა, დანარჩენი ფულიც მომეცეო; მაგრამ ვაჭარს ეთქვა, დამაცა, წავიღო ყურძენი, განა ვერ მიცნობ, ვერ მენდობი, ჩავიტან თუ არა ბინაზე, იმწამსვე მოგცემო. წაიღო, ჩაიტანა, და როცა გლეხმა სთხოვა, ვაჭარი ეუბნება თურმე, მამაშენს მართებდა ჩემი ფული და იმაში გაგიბარიეო. ბლეხი სტირის, ერთ ამბავშია თურმე, იძახის, მამა-ჩემი ოც-დახუთი წელიწადია, რაც მოკედაო; მაგრამ ვერა მოუხერხებია-რა, რადგან მამასახლისიც იმ ვაჭარს მისყიდული ჰყავსო...

წერილი რედაქტორთან

—

უფ. რედაქტორო! თქვენს პატივ-ცემულ გაზეთში „დროების“ № 201, იყო დაბეჭდილი კორრესპონდენცია ვილაც მ. ს.-სკუთ—შვილისაგან, რომელშიაც სწერს ისა, რომ—მახლობლად თავად-აზნაურების ბანკისა, ერთი ვილაც მედროვე დაიჭირეს ცხენიან-დროგიანათ ოთხმა-ხუთმა მუშებმა და დაუწყეს წეწვა იქითა-და-აქეთა და სხვ.

გარემოება აღწერილი საკუთ—შვილისაგან სრულიად ამ სახიდ არ ყოფილა, როგორც ის ფიცხელი კაცი ბრძანებს და თავიდგან ბოლომდისინ არის სიმცრუე.

უფ. ავტორი თხოულობს ჩემგან პასუხს, მაგრამ მე იმისთანა კაცის პასუხისათვის არა მცალია, სანამ ვინ ბრძანდება ის ნამდვილს მისს სახელსა და გვარს არ გამოაცხადებს და მაშინ კი ვალდებული ვიქმნები, არათუ „ათიოდე სიტყვა“, ორმოცოდეც უძღენა, როგორც მის წერილზედ, ეგრეთვე ნამდვილ საქმის გარემოებაზედ და ჩემს წესიერს მოქმედებაზედ და არა უწესოს, როგორც ის ბრძანებს და რადგანაც გარემოება არ სცოდნია და არც პოლიციის წესი, ყველა დაწერილებით აღუხსნა. დაუტკიცო მისი უმეცრება.

ამისათვის ვნახავ უ. საკუთ-შვილს, ამ ათ დღეში მაცნობოს ვინ ბრძანდება. დამალვა დედა-ბრის წესია, თუმც სიმართლეს სწერს, ბრძანოს ვინ ბრძანდება, რისი ეშინია, სიმართლისთვის დაჯილდოვდება.

Ბ. Ი—ნი

3 ოქტომბერს ქ. ქუთაისი

ბანცხადებანი

ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩაზე, ხელინოვის სახლებში, ივანე კურწოვის ქალაზიაში ისყიდება ნამდვილი ... ...